**სარეკლამო აქციის „მართე ეკო-ტრანსპორტი, შექმენი შენი ცხოვრების სტილი” ჩატარების წესები**

საქართველოს ტერიტორიაზე სს “პროკრედიტ ბანკის” მიერ გამოშვებული Debit Mastercard®- Flex Card ბარათების (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “Debit Mastercard® ბარათები”) გამოყენების აქტივობის გაზრდაზე მიმართული სარეკლამო აქციის „მართე ეკო-ტრანსპორტი, შექმენი შენი ცხოვრების სტილი ” ჩატარების წესები (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “წესები”) განსაზღვრავს სარეკლამო აქციის „მართე ეკო- ტრანსპორტი, შექმენი შენიცხოვრების სტილი „ ჩატარების თანამიმდევრულობას (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “სარეკლამოაქცია”).

1. სარეკლამო აქციის ორგანიზატორი და დამკვეთი:
   1.1. სარეკლამო აქციის ორგანიზატორი არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება “W”, ს/კ: 404415334 (შემდგომში მოხსენიებული, როგორც “ორგანიზატორი”). ორგანიზატორის ადგილმდებარეობა: საქართველოს რესპუბლიკა, თბილისი, რადიანის ქ. 17.
   1.2. სარეკლამო აქციის დამკვეთი – Mastercard Europe SA (შემდგომში „დამკვეთი“), რეგისტრირებული მისამართი: ბელგია, ვატერლოო 1410, შოსე დე ტერვუვენ 198ა.
2. სარეკლამო აქციის დასახელება:
   2.1. „მართე ეკო-ტრანსპორტი, შექმენი შენი ცხოვრების სტილი „
3. სარეკლამო აქციის მიზანი:
   3.1. სარეკლამო აქციის მიზანია “Debit Mastercard® ბარათების” გამოყენების წახალისება.
4. სარეკლამო აქციის მონაწილე:
   4.1. საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც არის საქართველოში, პროკრედიტ ბანკის მიერ გაცემულ Debit Mastercard® - Flex Card ბარათის მფლობელი და სარეკლამო აქციის პერიოდში განახორციელებს მინიმუმ 10 ლარის ტრანზაქციას POS ტერმინალებზე, როგორც საქართველოში ასევე მის ფარგლებს გარეთ და სრულად ეთანხმება სარეკლამო აქციის წესებს და პირობებს;
   4.2. ქმედუნარიანი ფიზიკური პირები;
   4.3. სარეკლამო აქციაში მონაწილეობის უფლება არა აქვს:
      4.3.1.პირს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს 4.1. და 4.2. მუხლის პირობებს;
      4.3.2.უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არ მქონე პირებს;
      4.3.3.უცხო ქვეყნის მოქალაქეებს, რომლებიც მუდმივად ცხოვრობენ საქართველოს ტერიტორიაზე;
      4.3.4.პირს, რომელსაც შრომითი ურთიერთობა აკავშირებს ორგანიზატორთან, ასევე მის მეუღლეს, და/ან ახლო ნათესავებს;
      4.3.5.პირს, რომელსაც შრომითი ურთიერთობა აკავშირებს სს „პროკრედიტ ბანკთან“, ასევე მის მეუღლეს, და/ან ახლო ნათესავებს;
      4.3.6.საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული პირებს, რომელთაც ეკრძალებათ სარეკლამო აქციაში მონაწილეობის მიღება.

5. სარეკლამო აქციის ჩატარების ტერიტორია: საქართველოს ტერიტორია.

6. აქციის ჩატარების პერიოდი: 2019 წლის 12 დეკემბრის 23:59:59 საათიდან 2020 წლის 23 იანვრის 23:59:59 საათის ჩათვლი

7. სარეკლამო აქციის საპრიზო ფონდი საპრიზო ფონდის შემადგენლობა:

| № | პრიზის სახეობა | რაოდენობა |
|---|---|---|
| 1 | ველოსიპედი (საბავშვო) | 6 |
| 2 | ველოსიპედი (ქალაქის) | 6 |
| 3 | ველოსიპედი (მთის) | 6 |
| 4 | ამსტერდამის საგზური 2 ადამიანზე | 1 |

7.1. მთავარი პრიზის ღირებულებაში შედის:

7.1.1. ფრენა: მონაწილეთა მგზავრობის უზრუნველყოფა ავია ან რკინიგზის ეკონომ კლასის ბილეთებით საცხოვრებელი ადგილიდან სიიდან არჩეულ ქალაქამდე და უკან

7.1.2.ტრანსფერი: აეროპორტი - სასტუმრო - აეროპორტი (ტრანსპორტის სახეობის არჩევის უფლებას იტოვებს ორგანიზატორი);

7.1.3.მინიმუმ 3 ვარსკვლავიან სასტუმროში ცხოვრება (სასტუმროს არჩევის უფლებას იტოვებს ორგანიზატორი );

7.2. პრიზის შემადგენელი ფულადი კომპონენტი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც კავდება ორგანიზატორის მიერ გამარჯვებულისათვის სამომავლოდ გადასახდელად საქართველოს საგადასახადო სამსახურში

7.3. გამარჯვებულებმა უნდა გამოიყენონ პრიზები შემდეგ პერიოდებში: 2019 წლის 25 იანვრიდან 2020 წლის 30 აპრილამდე

7.4. ორგანიზატორი/ ბანკი იტოვებსუფლებას ჩაანაცვლოს/ შეცვალოს საპრიზო ფონდი, განსაზღვროს პრიზების ღირებულება და რაოდენობა ან დაამატოს დამატებითი პრიზები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ პირობებით.

8. სარეკლამო აქციაში მონაწილეობის წესი

8.1. 2019 წლის 12 დეკემბრის 00:00:01 საათიდან 2020 წლის 23 იანვრის 23:59:59 საათამდე სს „პროკრედიტ ბანკის“ აქტიური ბარათის Debit Mastercard® - Flex Card გამოყენებით უნაღდო ოპერაციების (ტრანზაქციების) შესრულება სავაჭრო და/ან მომსახურების ობიექტებში

8.2. სარეკლამო აქციაში მონაწილეობას მიიღებენ ტრანზაქციები, რომლებიც უკვე ასახულია მიმდინარე ანგარიშზე(ანგარიშებზე) და ფიქსირდება საბანკო ამონაწერში.

8.3. ტრანზაქციებში იგულისხმება და სარეკლამო აქციაში მონაწილეობის მისაღებად საფუძველს წარმოადგენს: უნაღდო ოპერაციები, რომლებიც ხორციელდება პოს-ტერმინალების მეშვეობით არანაკლებ 10 ლარისა (და მისი ექვივალენტისა, გადახდის მომენტში არსებული ეროვნული ბანკის კურსით) ;

8.4. სარეკლამო აქციაში მონაწილეობის საფუძველს არ წარმოადგენს:

8.4.1.სარეკლამო აქციაში არ მონაწილეობენ ტრანზაქციები, რომელთა გაუქმება ან დაბრუნება მოხდება სარეკლამო აქციის პერიოდში;

8.4.2.უნაღდო ანგარიშსწორება 2019 წლის 12 დეკემბრის 00:00:01 საათამდე და 2020 წლის 23 იანვრის 23:59:59 საათის შემდეგ;

8.4.3.ერთიდაიმავეკალენდარულიდღისგანმავლობაშიერთიდაიმავე პოს- ტერმინალით შესრულებული 2-ზე (ორი) მეტი უნაღდო ოპერაცია;

8.4.4.პოს ტერმინალზე ბარათის ნომრის აკრეფით განხორციელებული ტრანზაქცია;

8.4.5.პოს ტერმინალით თანხის განაღდება;

8.4.6.საქონლის/მომსახურების გადახდის ონლაინ-ოპერაციები (ინტერნეტ შესყიდვები);

8.4.7.ბანკომატიდან თანხის გატანა;

8.4.8.უნაღდოოპერაციებისჩატარებაფულადისაშუალებებისგადარიცხვისმიზნით ბარათიდან ბარათზე;

8.4.9.შიდაოპერაციებისაკუთარბარათებზესს„პროკრედიტბანკის“ინტერნეტ- ბანკის სისტემებში;

8.4.10. კომუნალური გადასახადებისათვის შესრულებული ტრანზაქციები

8.4.11. გადახდები აზარტული თამაშებისათვის;

8.4.12. ნებისმიერი სხვა უკანონო ტრანზაქცია.

9. სარეკლამო აქციაში გამარჯვებულების განსაზღვრის მექანიკა

9.1. პირველი სამი ეტაპის გამარჯვებულის გამოვლენა:

9.1.1.ყოველი ეტაპის ბოლოს 6 ყველაზე მეტი ტრანზაქციის მქონე მონაწილე მიიღებს პრიზებს:

9.1.1.1. 1-2 ადგილი: „ველოსიპედის (მთის)“

9.1.1.2. 3-4 ადგილი: „ველოსიპედის (ქალაქის)“

9.1.1.3. 5-6 ადგილი: „ველოსიპედი (საბავშვო)“

9.2. იმ შემთხვევაში, თუ აქციის მონაწილეებს ექნებათ ერთი და იგივე რაოდენობის ტრანზაქცია, უპირატესობა მიენიჭება დღეში უფრო ადრე განხორციელებულ ტრანზაქციას.

9.3. გამარჯვებულების გამოვლენის დრო:

9.3.1.პირველი ეტაპის (12.12.2019 – 26.12.2019) გამარჯვებულები გამოვლინდებიან - 2019 წლის 30 დეკემბერს.

9.3.2.მეორე ეტაპის (27.12.2019 – 09.01.2020) გამარჯვებულები გამოვლინდებიან -2020 წლის 13 იანვარს

9.3.3.მესამე ეტაპის (10.01.2020 – 23.01.2020) გამარჯვებულები გამოვლინდებიან -2020 წლის 27 იანვარს

9.4. 2019 წლის12 დეკემბრიდან 2020 წლის 23 იანვრის ჩათვლით პერიოდში, ის ერთი მონაწილე რომელიც ყველაზე მეტ ტრანზაქციას განახორციელებს მთელი აქციის განმავლობაში გამოვლინდება გამარჯვებულად 2020 წლის 27 იანვარს და გახდება „ამსტერდამის საგზური 2 ადამიანზე “ პრიზის მფლობელი.

9.5. ტრანზაქციების რაოდენობის რეიტინგი აისახება სს „პროკრედიტ ბანკის“ ვებ- გვერდზე: www.mc.procreditbank.ge

9.6. ბანკი საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის თხოვნით იტოვებს უფლებას დამატებით განსაზღვროს გამარჯვებული, რაიმე სახის ეჭვების არსებობის შემთხვევაში ან თუ შეიტყობს ფალსიფიკაციის ფაქტის შესახებ გამარჯვებულის მხრიდან

9.7. სარეკლამო აქციაში არ მონაწილეობენ ტრანზაქციები, რომელთა გაუქმება ან დაბრუნება შესაძლებელია, ხოლო ბანკი მიიღებს შესაბამის შეტყობინებას ამის შესახებ.

9.8. ბანკს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნის შემთხვევაში გამორიცხოს მონაწილე იმ შემთხვევაში, თუ გაჩნდება ეჭვია აქციის წესების კეთილსინდისიერი შესრულების ან აქციის წესების გამიზნული დარღვევის ფაქტის შესახებ მონაწილის მხრიდან.

10. პრიზების მიღების პირობები და გამარჯვებულთა ინფორმირება:

10.1. ორგანიზატორი, სს „პროკრედიტ ბანკის“ თანადგომით, გამოაქვეყნებს გამარჯვებულების ჩამონათვალს სს „პროკრედიტ ბანკის“ ვებგვერდზე www.mc.procreditbank.ge და დამატებით შეატყობინებს გამარჯვებულებს მოგების შესახებ სატელეფონო ზარის საშუალებით

10.2. გამარჯვებულებთან დაკავშირების მცდელობები არ უნდა აღემატებოდეს 5 ზარს, რომლებიც განხორციელდება 9.00 საათიდან 20.00 საათამდე, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით. იმ შემთხვევაში, თუ ბანკი 5 ზარის შემდეგ ვერ დაუკავშირდება გამარჯვებულს ან მიიღებს ზეპირ უარს აქციაში მონაწილეობაზე, გამარჯვებული გახდება შემდეგი მონაწილე, რომელსაც ექნება უდიდესი რეიტინგი ტრანზაქციების რაოდენობის მიხედვით.სს „პროკრედიტ ბანკის“ ვებგვერდი: www.mc.procreditbank.ge.

10.3. გამარჯვებულებისთვის პრიზები გაიცემა ორგანიზატორის მიერ, გამარჯვებულების თანხმობის პირობით პრიზის მისაღებად და მის შესახებ მონაცემების (სახელი და გვარი, საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა) მისაწოდებლად.

10.4.გამარჯვებული 3 (სამი) საბანკო დღის განმავლობაში იმ მომენტიდან, როდესაც ეს უკანასკნელი შეიტყობს პრიზის მიღების უფლების შესახებ, ვალდებულია გაუგზავნოს ორგანიზატორს შემდეგი დოკუმენტების დასკანირებული ასლები:

10.4.1. პირველი სამი ეტაპის გამარჯვებულები:

10.4.1.1. პირადობის მოწმობის/ პასპორტის ასლი.

10.4.1.2. სარეკლამო აქციის პრიზის მიღებაზე წერილობითი თანხმობა.

10.4.2. მთავარი პრიზის მფლობელი:

10.4.2.1. პასპორტის ასლი (მინიმუმ 6 თვიანი მოქმედების ვადით გამგზავრების შემდეგ);

10.4.2.2. სარეკლამო აქციის პრიზის მიღებაზე წერილობითი თანხმობა.

10.5. ყველა ზემოთ მითითებული დოკუმენტი უნდა იქნეს გაგზავნილი შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:info@wforte.ge

10.6. დოკუმენტების სანდოობასა და სიზუსტეზე პასუხისგებლობა ეკისრება გამარჯვებულს. დოკუმენტების ასლები უნდა იყოს მკაფიო

10.7. ბანკი/ ორგანიზატორი უფლებამოსილია მოითხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარმოდგენა პრიზის მიღების მიზნით.

10.8. არასრული / არაზუსტი დოკუმენტების წარმოდგენა ან დოკუმენტების მიუწოდებლობა შესაბამის ვადებში ან რაიმე სახის ეჭვის შემთხვევაში დოკუმენტების სანდოობასთან დაკავშირებით, გამარჯვებული კარგავს გამარჯვებულის სტატუსს.

10.9. იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულები არ მიიღებენ პრიზებს სარეკლამო აქციის წესებით დადგენილ ვადებში, ან იმ შემთხვევაში, თუ გამარჯვებულებთან დაკავშირება და მოგების შესახებ შეტყობინება და/ან მათთვის პრიზების გაცემა შეუძლებელია არაკორექტული მონაცემების გამო, რომლებიც მიეთითება ბარათის გაფორმებისას, გამარჯვებულის საკონტაქტო მონაცემების შეცვლის ან გამარჯვებულის მიერ პრიზის მიღებაზე უარის თქმის, გამარჯვებულის მიერ ორგანიზატორისთვის საკუთარ თავზე ინფორმაციის მიწოდებაზე უარის თქმის გამო, რაც ამ წესებითაა გათვალისწინებული, ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი ნებისმიერი სხვა მიზეზით, პრიზი დარჩება ორგანიზატორთან.

10.10. პრიზის ღირებულების ფულადი ეკვივალენტის გადახდა ან ჩანაცვლება სხვა პრიზით არ დაიშვება.

10.11. ორგანიზატორის პასუხისმგებლობა პრიზების გაცემასთან დაკავშირებით იზღუდება ექსკლუზიურად ამ პრიზების ზემოთ მითითებული რაოდენობით და სახეობით.

10.12. ავიაბილეთების შეცვლა არ ექვემდებარება სხვა პირისთვის გადაცემას და/ან გამოცვლას.

10.13. ორგანიზატორი არ აგებს პასუხს ავიაბილეთების ხელმისაწვდომობაზე მონაწილის მიერ განსაზღვრულ/გაცხადებულ ფრენის დღეზე. რეისის არარსებობის ან ბილეთის არქონის შემთხვევაში მითითებულ დღეს, მონაწილეს შესთავაზებენ

ფრენის თარიღს +/- 3 დღე.

10.14. აქციის მონაწილეები პასუხს აგებენ დოკუმენტების არსებობაზე, რაც აუცილებელია ქვეყნიდან გასვლისა და ქვეყანაში შესვლისთვის.

10.15. აქციის მონაწილეები თავად აგებენ პასუხს სამედიცინო დაზღვევის ქონაზე, რაც აუცილებელია საზღვრის გადაკვეთისთვის

10.16. აქციის მონაწილეები თანხმდებიან პირადი მონაცემების გადაცემაზე ავიაბილეთების დაჯავშნასა და შესყიდვაზე.

10.17. ავიაბილეთების შესყიდვისას მონაწილეები მიიღებენ უფლებას ბარგის უფასო გადაზიდვაზე თვითმფრინავის საბარგულის განყოფილებაში ავიაკომპანიის ტარიფების შესაბამისად, უფასო ბარგის ნორმა შესაძლოა შეიცვალოს ავიაბილეთის ტარიფის და ფრენის ხანგრძლივობის შესაბამისად.

10.18. იმ შემთხვევაში, თუ ბარგი აღემატება დადგენილ ნორმებს ადგილების რაოდენობიდან გამომდინარე და ზომისა და წონის მიხედვით, ზომაზე მეტის გადაზიდვისთვის აქციის მონაწილეები დამატებით გადაიხდიან თავად.

10.19. ფრენა შეიცავს სავიზო მოსაკრებელს, ტრანსფერს აეროპორტიდან დანიშნულების/განთავსების ადგილამდე და პირიქით.

10.20. სარეკლამო აქციის ფარგლებში არ იგულისხმება ბიზნეს-კლასის ბილეთის შეძენა.

10.21. ავიაკომპანია, რომელიც ახორციელებს ფრენებს, შეთავაზებულია ორგანიზატორის მიერ და შეცვლას არ ექვემდებარება.

10.22. ორგანიზატორი არ აგებს პასუხს რეისის გაუქმებასა თუ გადადებაზე ავიაკომპანიის ბრალეულობით.

10.23. ორგანიზატორი არ აგებს პასუხს ეკიპაჟის ან ბორტის მოუმზადებლობაზე რეისის შესასრულებლად.

10.24. ორგანიზატორი არ აგებს პასუხს ავიაკომპანიის უარზე მგზავრის განსათავსებლად რეისზე „ოვერბუკინგის“ გამო.

10.25. ორგანიზატორი არ აგებს პასუხს ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომაზე, რომელთა დროს ავიაკომპანია აუქმებს რეისს (სტიქიური უბედურებები (ხანძარი, მიქცევა, წყალდიდობა), ამინდი, საომარი მოქმედებები, ტვირთების გადაზიდვის შეწყვეტა ან შეზღუდვა გარკვეული მიმართულებებით, ავიაკომპანიის/აეროპორტების პერსონალის გაფიცვები, დარღვევები, რომლებიც მგზავრების სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ემუქრება.

10.26. აქციის მონაწილის სამართლებრივი ურთიერთობა ავიაკომპანიასთან იწყება ფაქტობრივად ბილეთის შეძენისთანავე.

10.27. პრიზების მიღებისას გამარჯვებულები დამოუკიდებლად არიან უფლებამოსილნი და იღებენ ვალდებულებას გადაიხადოს საშემოსავლო გადასახადი საქართველოს ბიუჯეტში.

10.28. ყველა დამატებით ხარჯს ხსენებული გამგზავრების დროს გამარჯვებული დაფარავს თავად, საკუთარი ხარჯებით.

10.29. აქციაში მონაწილეობა ავტომატურად ნიშნავს, რომ მონაწილე ეცნობა და ეთანხმება აქციის პირობებს.

10.30. მონაწილე, აქციის წესების დარღვევის შემთხვევაში, ავტომატურად კარგავს აქციაში მონაწილეობის უფლებას. გარდა ამისა, მონაწილე არ არის უფლებამოსილი მოითხოვოს ორგანიზატორისგან / ბანკისგან / მესამე პირისგან ნებისმიერი სახის კომპენსაცია

11. კონფიდენციალურობა

11.1. აქციის მიზნებისთვის, სს „პროკრედიტ ბანკი“ უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დამუშავებას ბანკის მიერ შემუშავებული და საბანკო მომსახურების პირობებში გათვალისწინებული შესაბამისი წესების მიხედვით, რომელიც ხელმისაწვდომია ბანკის ვებ-გვერდზე: www.procreditbank.ge

11.2. ორგანიზატორი, აქციის მიზნებისთვის, პერსონალურ მონაცემთა (პასპორტის ასლი, სახელი, გვარი, მისამართი, ელ-ფოსტა და ტელეფონის ნომერი) დამუშავებას მოახდენს პერსონალური მონაცემების დაცვის კანონის შესაბამისად. აქციის ფარგლებში შეგროვებულ ნებისმიერი სახის პირად მონაცემებს მასტერქარდი და ორგანიზატორი გამოიყენებენ მხოლოდ აქციის ჩატარების მიზნით, კერძოდ, გამარჯვებულების გამოსავლენად და მისთვის პრიზის გადასაცემად.

11.3. კონფიდენციალურობის პოლიტიკასთან დაკავშირებით მასტერქარდის მიერ პირადი მონაცემების დამუშავების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის მიმართეთ მასტერქარდის გლობალურ კონფიდენციალურ პოლიტიკას, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე: http://www.mastercard.us/privacy/

12. სხვადასხვა

12.1. ორგანიზატორი არ აგებს პასუხს შემდეგზე:

12.1.1. მონაწილეების მიერ არასრული და/ან არასწორი მონაცემების შეტყობინება საკუთარი თავის შესახებ ან სხვა მონაცემების შეტყობინება, რომლებიც მიეთითება ამ წესების შესაბამისად, მათი შეცვლა სს „პროკრედიტ ბანკისთვის“ შეტყობინების შესახებ;

12.1.2. შეცდომები მონაცემების გადაცემის დროს ინტერნეტით ან ფაქსიმილური კავშირით კავშირგაბმულობის ორგანიზაციების ბრალეულობით, ინტერნეტ- ქსელში და/ან სარეკლამო აქციის ჩატარებისას გამოყენებული კავშირგაბმულობის არხებში პრობლემების და/ან თაღლითობის შედეგად, აგრეთვე, ფოსტის მუშაობის მოშლის ან ორგანიზატორისგან დამოუკიდებელი სხვა მიზეზებით;

12.1.3. სარეკლამო აქციების მონაწილეების მიერ ამ წესებით გათვალისწინებული საკუთარივალდებულებების შეუსრულებლობა / არადროულიშესრულება.

12.2. სარეკლამო აქციის შედეგები და გამარჯვებულების ჩამონათვალი (გვარი, ინიციალები), რომელთა შესახებ მონაცემები გამარჯვებულთა თანხმობით მიეწოდება ორგანიზატორს სს„პროკრედიტბანკის“ მიერ, განთავსდება ვებგვერდზე: procreditbank.ge

12.3. ბანკს ნებისმიერ დროს საკუთარი შეხედულებისამებრ ან ორგანიზატორის მოთხოვნის საფუძველზე შეუძლია განსაზღვროს კამპანიის დამატებითი პირობები, რომელთა შესახებ ინფორმაციას განათავსებს ვებ-გვერდზე www.procreditbank.ge და/ან აცნობებს აქციის მონაწილეს ინტერნეტ ბანკინგით.

12.4. სარეკლამო აქციის ჩატარებასთან დაკავშირებულ საკითხებზე დარეკეთ: +99532220 2222, 10:00 საათიდან 21:00 საათამდე სამუშაო დღეებში 2019 წლის 12 დეკემბრიდან 2020 წლის 31 იანვრამდე.